



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
2019 წლის 3 თვის ბიუჯეტის
შესრულების მიმოხილვა



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 3 თვის ბიუჯეტის მაჩვენებლები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2019 წლის გეგმა	2019 წლის 3 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
შემოსავლები	150,041.6	29,071.7	27,131.3
გადასახადები	73,153.6	11,988.0	10,001.7
გრანტები	33,880.0	6,652.0	6,289.3
სხვა შემოსავლები	43,008.0	10,431.7	10,840.3
ხარჯები	95,515.3	22,543.6	18,485.9
შრომის ანაზღაურება	22,154.6	5,582.0	5,198.2
საქონელი და მომსახურება	37,252.2	10,000.8	7,619.9
პროცენტი	5,315.0	99.6	89.8
სუბსიდიები	13,769.1	3,533.1	3,048.4
გრანტები	25.5	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	9,526.8	1,969.0	1,423.0
სხვა ხარჯები	7,472.1	1,359.1	1,106.6
საოპერაციო სალდო	54,526.3	6,528.1	8,645.4
არაფინანსური აქტივების ცვლილება	47,469.1	14,272.3	11,453.7
ზრდა	58,169.1	15,246.1	12,041.3
კლება	10,700.0	973.8	587.6
მთლიანი სალდო	7,057.2	-7,744.2	-2,808.3
ფინანსური აქტივების ცვლილება	-7,183.3	-7,786.8	-2,850.9
ზრდა	712.6	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	712.6	0.0	0.0
კლება	7,895.9	7,786.8	2,850.9
ვალუტა და დეპოზიტები	7,895.9	7,786.8	2,850.9
ვალდებულებების ცვლილება	-14,240.5	-42.6	-42.6
კლება	14,240.5	42.6	42.6
საშინაო	14,240.5	42.6	42.6
ბალანსი	0.0	0.0	0.0



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	2019 წლის გეგმა	2019 წლის 3 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
შემოსულობები	160,741.6	30,045.5	27,718.9
შემოსავლები	150,041.6	29,071.7	27,131.3
არაფინანსური აქტივების კლება	10,700.0	973.8	587.6
გადასახდელები	168,637.5	37,832.3	30,569.8
ხარჯები	95,515.3	22,543.6	18,485.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	58,169.1	15,246.1	12,041.3
ფინანსური აქტივების ზრდა	712.6	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	14,240.5	42.6	42.6
ნაშთის ცვლილება	-7,895.9	-7,786.8	-2,850.9

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 3 თვის ბიუჯეტის შემოსულობები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 3 თვის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 27,718.9 ათასი ლარი. რაც შემოსულობების 2019 წლის მთლიანი გეგმიური მაჩვენებლის 17.2%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 10,001.7 ათასი ლარი (შემოსულობების - 36.1%), გრანტებისა და ფინანსური დახმარების სახით მიღებულ შემოსავლებზე – 6,289.3 ათასი ლარი (შემოსულობების - 22.7%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე – 10,840.3 ათასი ლარი (შემოსულობების - 39.1%), არაფინანსური აქტივების კლებაზე (ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობაზე) – 587.6 ათასი ლარი (შემოსულობების - 2.1%).




ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 3 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები

№	შემოსულობის დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
1	შემოსავლები	27,131.3	97.9%
1.1	გადასახადები	10,001.7	36.1%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	6,289.3	22.7%
1.3	სხვა შემოსავლები	10,840.3	39.1%
2	არაფინანსური აქტივების კლება	587.6	2.1%
ჯამი		27,718.9	100%

შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 3 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები







№	შემოსულობების დასახელება	2019 წლის გეგმა	2019 წლის 3 თვე			
			გეგმა	საკასო შესრულება	ბადახრა	შესრულება %
1	შემოსავლები	150,041.6	29,071.7	27,131.3	-1,940.4	93.3%
1.1	გადასახადები	73,153.6	11,988.0	10,001.7	-1,986.3	83.4%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	33,880.0	6,652.0	6,289.3	-362.7	94.5%
1.3	სხვა შემოსავლები	43,008.0	10,431.7	10,840.3	408.6	103.9%
2	არაფინანსური აქტივების კლება	10,700.0	973.8	587.6	-386.2	0.0%
ჯამი		160,741.6	30,045.5	27,718.9	-2,326.6	92.3%

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მობილიზებული შემოსულობები წლიური გეგმიური მაჩვენებლის 17.2%-ია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 3 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები წლიურ გეგმასთან მიმართებაში





შემოსავლები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 3 თვის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 29,071.7 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 27,131.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 93.3%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და ფინანსურ დახმარებას, სხვა შემოსავლებს.

გადასახადები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის იანვარ-მარტის თვეების ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 10,001.7 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 11,988.0 ათასი ლარის 83.4%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 36.1%-ს.

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:



ქონების გადასახადი – ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის იანვარ-მარტის თვეების ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის -445.8 ათასი ლარი, ანუ საანგარიშო პერიოდში გადასახადის გადამხდელების მიერ შემოსავლების სამსახურში წარდგენილი დაზუსტებების შედეგად ქონების გადასახადის სახეობაში -445.8 ათასი ლარი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებიდან ამოღებულ იქნა.

დამატებული ღირებულების გადასახადები - მიმდინარე პერიოდის გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 11,988.0 ათას ლარს, საკასო - 10,447.5 ათას ლარს, შესრულდა 87.1%-ით. კერძოდ, გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან - 3,298.0 ათასი ლარი და გადასახადი იმპორტირებული პროდუქციიდან - 7,149.5 ათასი ლარი.

ფინანსური დახმარება და გრანტები

2019 წლის 3 თვის განმავლობაში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 6,289.3 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 6,652.0 ათას ლარს, გეგმა შესრულდა 94.5%-ით.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან სხვა სპეციალური ტრანსფერი შეადგენს 533.6 ათას ლარს, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 5,755.7 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის: კაპიტალური ტრანსფერის სახით - 5,187.3 ათასი ლარი და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან - 568.4 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 22.7%-ია.

№	დასახელება	2019 წლის გეგმა	2019 წლის 3 თვე		
			გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა
1	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	533.6	533.6	533.6	
1.1	სპეციალური ტრანსფერი	533.6	533.6	533.6	
	სხვა სპეციალური ტრანსფერი	533.6	533.6	533.6	



2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	33,346.4	6,118.4	5,755.7	362.7
2.1	კაპიტალური ტრანსფერი	29,900.0	5,550.0	5,187.3	362.7
2.2	ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	3,446.4	568.4	568.4	
ჯამი		33,880.0	6,652.0	6,289.3	362.7

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2019 წლის 3 თვის საპროგნოზო მოცულობა 10,431.7 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 10,840.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 103.9%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 39.1%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 400.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (385.0 ათასი ლარი) 104.1%-ია. მათ შორის:

- პროცენტებიდან მობილიზებულია 273.9 ათასი ლარი;
- რენტის სახით მიღებულია 126.8 ათასი ლარი. აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 29.1 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე - 97.7 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 8,872.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (8,646.5 ათასი ლარი) 102.6%-ია. აქედან,

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელის სახით – 8,871.2 ათასი ლარი. მათ შორის:

- მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) – 91.0 ათასი ლარი;

- საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი – 0.6 ათასი ლარი;



- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 7,825.1 ათასი ლარი, მათ შორის:

სამორინის მაგიდიდან – 2,952.0 ათასი ლარი;

სათამაშო აპარატებიდან – 4,442.7 ათასი ლარი;

სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობებიდან – 250.0 ათასი ლარი;

წამახალისებელი გათამაშებიდან – 89.4 ათასი ლარი;

კლუბის მაგიდიდან – 60 ათასი ლარი;

სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 31.1 ათასი ლარი;

- ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის – 441.4 ათასი ლარი;


- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის – 513.1 ათასი ლარი;

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან – 1.2 ათასი ლარი;

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 1,191.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1,175.2 ათასი ლარის) 101.4%-ია.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 375.8 ათასი ლარი. გეგმა 225.0 ათას ლარს შეადგენს ე.ი. შესრულდა 167.0%.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 3 თვის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები





ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

დასახელება	2019 წლის გეგმა	2019 წლის 3 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
სხვა შემოსავლები	43,008.0	10,431.7	10,840.3
შემოსავლები საკუთრებიდან	2,408.0	385.0	400.7
პროცენტები	500.0	250.0	273.9
დივიდენდები	838.0	0.0	0.0
რენტა	1,070.0	135.0	126.8
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	150.0	30.0	29.1
შემოსავალი მიწის იჯარაიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	920.0	105.0	97.7
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	35,000.0	8,646.5	8,872.4
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდებლები	35,000.0	8,646.5	8,871.2
სანებართვო მოსაკრებელი	400.0	95.0	91.0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	0.0	0.6
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	32,100.0	7,927.5	7,825.1
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	0.0	0.0	441.4
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	2,500.0	624.0	513.1
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	1.2
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	0.0	0.0	1.2
ჯარიმები, სანქციები და საურავები	4,700.0	1,175.2	1,191.4
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	900.0	225.0	375.8

არაფინანსური აქტივების კლება

2019 წლის 3 თვის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა 587.6 ათას ლარს შეადგენს, საიდანაც მიწაზე უფლების აღიარებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს 1.3 ათას ლარს, შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწების გაყიდვიდან - 586.4 ათას ლარს.



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 3 თვის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 3 თვის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 3 თვის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების გეგმიური მაჩვენებელი -7,786.8 ათასი ლარით იყო განსაზღვრული, ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა -2,850.9 ათასი ლარი.




ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 3 თვის ბიუჯეტის გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 3 თვის ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა შემდეგნაირად გამოიყურება (იხილეთ დიაგრამა):

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში






ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 3 თვის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის კრილში

№	გადასახდელის დასახელება	2019 წლის გეგმა	2019 წლის 3 თვე			
			გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	17,004.8	2,809.8	2,327.4	82.8%	7.6%
1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	7,495.5	1,841.5	1,526.5	82.9%	5.0%
1.2	საერთო დანიშნულების მომსახურება	4,144.3	818.7	711.0	86.8%	2.3%
1.3	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	5,315.0	99.6	89.9	90.3%	0.3%
1.4	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	50.0	50.0	0.0	0.0%	0.0%
2	თავდაცვა	25.0	6.0	2.6	43.3%	0.01%
3	ეკონომიკური საქმიანობა	47,095.7	11,303.6	9,232.3	81.7%	30.2%
3.1	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული	80.0	20.0	5.2	26.0%	0.0%
3.2	ტრანსპორტი	45,984.5	11,027.2	9,102.0	82.5%	29.8%
3.3	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	1,031.2	256.4	125.1	48.8%	0.4%
4	გარემოს დაცვა	12,406.8	3,197.6	2,550.0	79.7%	8.4%
4.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	9,313.1	2,328.4	1,788.0	76.8%	5.9%
4.2	ჩამდინარე წყლების მართვა	3,093.7	869.2	762.0	87.7%	2.5%
5	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	24,605.3	7,703.4	6,770.5	87.9%	22.2%
5.1	ბინათმშენებლობა	1,718.3	610.8	566.6	92.8%	1.9%
5.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	5,746.8	981.3	921.9	93.9%	3.0%
5.3	წყალმომარაგება	9,330.8	3,994.1	3,449.6	86.4%	11.3%
5.4	გარე განათება	4,490.8	1,156.1	1,043.9	90.3%	3.4%
5.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	3,318.6	961.1	788.5	82.0%	2.6%
6	ჯანმრთელობის დაცვა	5,386.1	1,016.8	654.9	64.4%	2.1%
7	დასვენება, კულტურა და რელიგია	20,758.4	5,233.5	4,029.6	77.0%	13.2%
7.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	14,643.5	3,683.1	2,738.8	74.4%	9.0%
7.2	მომსახურება კულტურის სფეროში	5,945.4	1,520.7	1,288.7	84.7%	4.2%
7.3	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	169.5	29.7	2.1	7.1%	0.0%
9	განათლება	16,663.6	4,042.0	3,148.5	77.9%	10.3%
10	სოციალური დაცვა	9,738.6	2,476.9	1,811.4	73.1%	5.9%
გადასახდელის ჯამი		153,684.3	37,789.6	30,527.2	80.8%	100%



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 3 თვის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის ქრილში (გეგმა-ფაქტი)



საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2019 წლის 3 თვის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 2,809.8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 2,327.4 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 82.8%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საერთო დანიშნულების მომსახურება, ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, წინა პერიოდის დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების, თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერების და მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო საკასო ხარჯებში შეადგენს 7.6%-ს.

თავდაცვის სფეროზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფინანსდა 2.6 ათასი ლარით, გეგმა - 6.0 ათასი ლარი.

ეკონომიკური საქმიანობისთვის დაგეგმილი იყო 11,303.6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 9,232.3 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 81.7%. მისი ხვედრითი



წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 30.2%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობას, საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვის, მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარების, ქალაქის საჭიროებებთან დაკავშირებული სტრატეგიული და სხვა ტიპის კვლევებს, მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობის და მუნიციპალური სასაფლაოების მშენებლობის ხარჯებს, ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნას, ეკონომიკური ფორუმების ორგანიზებას, ბათუმის ისტორიული განაშენიანების საზღვრებში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარების მხარდაჭერას.

გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 3,197.6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 2,550.0 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 79.7%. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანის, სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 8.4%-ია.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის, ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობის, სანიტარული დაცვის ღონისძიებების და ქალაქის გაფორმების ხარჯები, შეადგენდა 7,703.4 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 6,770.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 87.9%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 22.2%-ს.

ჯანმრთელობის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 1,016.8 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 654.9 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 64.4%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 2.1%-ს.



დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 5,233.5 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 4,029.6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 77.0%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 13.2%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობის ხარჯები, ქალაქის გამწვანების ღონისძიებები, სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მართვის ხარჯები, საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის ღონისძიებები, სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის ღონისძიებები, ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა, ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრის ხარჯები, სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაციის ხარჯები, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი კულტურის, სპორტისა და დასვენების დაწესებულებების მიმდინარე, ასევე მათი რეაბილიტაციის ხარჯები და ახალგაზრდული ცენტრის, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის ღონისძიებები.


განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 4,042.0 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 3,148.5 ათას ლარს, ანუ გეგმის 77.9%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდის, ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ასევე საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 10.3%-ს.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 2,476.9 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 1,811.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 73.1%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 5.9%-ს.



ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ქრილში

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 3 თვის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ქრილში აქვს შემდეგი სახე:



- შრომის ანაზღაურება
- პროცენტი
- გრანტები
- სხვა ხარჯები
- საქონელი და მომსახურება
- სუბსიდიები
- სოციალური უზრუნველყოფა
- არაფინანსური აქტივები

№	გადასახდელების დასახელება	2019 წლის გეგმა	2019 წლის 3 თვე			
			გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
1	შრომის ანაზღაურება	22,154.6	5,582.0	5,198.2	93.1%	17.0%
2	საქონელი და მომსახურება	37,252.2	10,000.8	7,619.9	76.2%	24.9%
3	პროცენტი	5,315.0	99.6	89.9	90.3%	0.3%
4	სუბსიდიები	13,769.1	3,533.1	3,048.4	86.3%	10.0%
5	გრანტები	25.5	0.0	0.0	-	0.0%
6	სოციალური უზრუნველყოფა	9,526.8	1,969.0	1,423.0	72.3%	4.7%
7	სხვა ხარჯები	7,472.1	1,359.1	1,106.6	81.4%	3.6%
8	არაფინანსური აქტივები	58,169.1	15,246.1	12,041.3	79.0%	39.4%
9	ფინანსური აქტივები	712.6	0.0	0.0	-	0.0%
10	ვალდებულებები	14,240.5	42.6	42.5	99.8%	0.1%
გადასახდელების ჯამი		168,637.5	37,832.3	30,569.8	80.8%	100%

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 5,198.2 ათას ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 17.0%.



საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 7,619.9 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 24.9%-ია.

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 89.9 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 0.03%-ია.

სუბსიდიის სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 3,048.4 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 10%.

გრანტები საანგარიშო პერიოდში არ დაფინანსებულა.

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 1,423.0 ათასი ლარი, მთლიანი მოცულობის 4.7%.

სხვა ხარჯებზე გაიხარჯა 1,106.6 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 3,7%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 12,041.3 ათასი ლარი, მთლიანი ხარჯების – 39.4%.

ფინანსური აქტივების ზრდა საანგარიშო პერიოდში არ დაფინანსებულა.

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 42.5 ათასი ლარი, ხვედრითი წილი – 0,1%.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ქრილში

პროგრამულ ქრილში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 3 თვის ბიუჯეტის ხარჯებს შემდეგი სახე აქვს:



კოდი	დასახელება	2019 წლის ბეგმა	2019 წლის 3 თვე		
			ბეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	27,167.0	2,025.7	1,649.4	81.4%
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,650.0	410.4	355.7	86.7%
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	5,485.7	1,343.8	1,158.7	86.2%
01 03	სასესიო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	19,555.5	142.2	132.4	93.1%
01 04	სარეზერვო ფონდი	285.8	73.3		
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	50.0	50.0		
01 06	წვევამდელთა ტრანსპორტირება	25.0	6.0	2.6	43.3%
01 07	საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება	55.0			-
01 08	მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება	60.0			-
02 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	73,931.9	19,640.9	16,670.3	84.9%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	42,617.2	9,309.7	7,289.7	78.3%
02 02	სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება	7,858.1	2,873.6	2,856.1	99.4%
02 03	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	12,557.1	4,863.3	4,211.5	86.6%
02 04	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია-დემონტაჟი	6,481.0	893.4	814.7	91.2%
02 05	მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	828.7	221.9	125.1	56.4%
02 06	ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა	2,700.0	1,126.0	1,055.2	93.7%
02 07	ქალაქის კეთილმოწყობა	889.8	353.0	318.0	90.1%
03 00	ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	15,918.1	3,814.8	2,849.8	74.7%
03 01	ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება	9,327.1	2,342.4	1,800.1	76.8%
03 02	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	6,591.0	1,472.4	1,049.7	71.3%
04 00	განათლება	16,663.6	4,042.0	3,148.5	77.9%
04 01	სკოლამდელი აღზრდა განათლება	16,482.6	4,026.0	3,142.5	78.1%
04 02	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	170.0	16.0	6.0	37.5%
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	11.0			-
05 00	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	14,167.4	3,761.1	2,980.0	79.2%
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	6,023.6	1,702.7	1,290.9	75.8%
05 02	მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა	2,028.9	508.0	398.2	78.4%
05 03	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები	2,665.3	714.8	604.3	84.5%
05 04	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა	2,495.2	621.9	517.2	83.2%
05 05	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება	784.9	184.0	167.3	90.9%
05 06	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	169.5	29.7	2.1	7.1%
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	16,467.7	3,684.5	2,554.8	69.3%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	5,871.1	993.0	641.3	64.6%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	9,818.6	2,496.9	1,816.6	72.8%
06 03	სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა	778.0	194.6	96.9	49.8%
07 00	ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება	1,232.5	44.5	5.9	13.3%
07 01	ქალაქის ურბანული განვითარება	1,030.0	10.0	5.9	59.0%
07 02	ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა	202.5	34.5		
08 00	მუნიციპალური სერვისების განვითარება	3,089.3	818.7	711.0	86.8%
08 01	მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება	2,969.3	818.7	711.0	86.8%
08 02	თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება	120.0			-
გადასახდელების ჯამი		168,637.5	37,832.2	30,569.7	80.8%



ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ჭრილში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით დეტალურად მოცემულია დანართის (დანართი #3) სახით.

ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მოქმედი საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში შეიქმნა სარეზერვო ფონდი 750,000 ლარის ოდენობით, რაც ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 0.4%-ს შეადგენს. სარეზერვო ფონდიდან სახსრები მიიმართებოდა იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომელიც არ იყო გათვალისწინებული დამტკიცებულ ბიუჯეტში.

2019 წლის 3 თვეში სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობამ 495,695 ლარი შეადგინა, დეტალური ინფორმაცია ცხრილის (დანართი #1) სახით თან ერთვის ანგარიშს.

ადგილობრივი ბიუჯეტის წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი

მოქმედი საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში შეიქმნა წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი 50 000 ლარის ოდენობით, საანგარიშო პერიოდში ფონდიდან თანხა არ გამოყოფილა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 3 თვის ბიუჯეტის შემოსულობების (დანართი #2) და გადასახდელების (დანართი #3 და #4) შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები

№	ბრძანება		დასახელება	ორგანიზაციული კლასიფიკაციის მუხლი	შინაარსი	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი
	თარიღი	№					
1	2	3	4	5	6	7	8
სარეზერვო ფონდის მოცულობა						750,000	
1	11/01/19	26	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 09	2019 წლის 04 იანვარს, ძლიერი ქარის შედეგად, ქალაქ ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩა No 39/47-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის დაცემის შედეგად (აიაიპ, მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ გარდაცვლილი თანამშრომლის- იოსებ შერვაშიძის ოჯახისათვის მატერიალური (დაკრძალვის-სარიტუალო ხარჯების და ოჯახზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება) დახმარების გაწევის მიზნით	25,000	25,000
2	04/02/19	97	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 09	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა (2019 წელი 18 იანვარი, (კორექტირებული) ოქმი No1) მატერიალური დახმარების მიზნით	89,007	89,007
3	08/02/19	132	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 09	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (2019 წლის 18 იანვრის ოქმი No1) მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით	28,977	28,977
4	12/02/19	150	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 09	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (2019 წლის 11 თებერვლის (კორექტირებული) ოქმი №3) მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით	10,005	10,005
	20/02/19	186	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 09	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა (2019 წლის 19 თებერვლი (კორექტირებული), ოქმი №2) მატერიალური დახმარების მიზნით	156,103	156,006
	20/02/19	187	ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო	08 01 02	ქ. ბათუმში წერეთლის, ბერიძის, ესენინისა და ფალავანდიშვილის ქუჩების უკანონო გარე ვაჭრობისაგან განთავისუფლების მიზნით	14,420	
	27/02/19	233	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა	02 06 02	ქალაქ ბათუმში, 2019 წლის 5 თებერვალს ბერიძის ქუჩა №13/15-ში და ამავე წლის 11 თებერვალს ჭავჭავაძის ქუჩა №33/35-ში მოხდარი ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთებისა და შიდა სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით (2019 წლის 06 თებერვლის №2 და 2019 წლის 14 თებერვლის №4 ოქმები)	9,500	8,550
	07/03/19	250	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 09	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (2019 წლის 15 თებერვლის ოქმი №5) მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით	20,858	20,858
	22/03/19	327	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 09	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის შემსწავლელი მუდმივმოქმედი საბჭოს 2019 წლის 06 მარტის N-6 ოქმის გადაწყვეტილება	5,800	5,800
	26/03/19	352	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 09	ქ. ბათუმში, კ. გამსახურდიას ქ.№36-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შეუფერხებლად ჩატარებისათვის, ოჯახის გაყვანისა და დროებითი (ერთთვიე) საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიზნით	450	
	27/03/19	354	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 09	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა (2019 წლის (კორექტირებული), ოქმი №3) მატერიალური დახმარების მიზნით	46,540	3,150
	28/03/19	356	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	02 04 03	2019 წლის 11 თებერვალს ქ. ბათუმში, ჭავჭავაძის ქ.№33/35-ში ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავის აღდგენითი სამუშაოების წარმოების მიზნით (2019 წლის 15 მარტი, ოქმი No7)	57,550	
სულ ხარჯი						464,210	347,353
ნაშთი						285,790	

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები

ათასი ლარი

დასახელება	კოდი	წლიური დაზუსტებული გეგმა	I კვარტალის დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	შესრულება
შემოსულობები		160,741.6	30,045.5	27,718.9	92.3%
შემოსავლები	1	150,041.6	29,071.7	27,131.3	93.3%
არაფინანსური აქტივების კლება	31	10,700.0	973.8	587.6	60.3%
შემოსავლები		150,041.6	29,071.7	27,131.3	93.3%
გადასახადები	11	73,153.6	11,988.0	10,001.7	83.4%
ქონების გადასახადი	11311	25,200.0	0.0	-445.8	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1131101	22,300.0	0.0	-533.8	-
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1131102	0.0	0.0	8.1	-
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1131103	1,200.0	0.0	40.3	-
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1131104	0.0	0.0	6.9	-
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1131105	1,700.0	0.0	32.7	-
დამატებული ღირებულების გადასახადები	11411	47,953.6	11,988.0	10,447.5	87.1%
გრანტები	13	33,880.0	6,652.0	6,289.3	94.5%
სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	133	33,880.0	6,652.0	6,289.3	94.5%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი		33,346.4	6,118.4	5,755.7	94.1%
კაპიტალური ტრანსფერი		29,900.0	5,550.0	5,187.4	93.5%
ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი		3,446.4	568.4	568.4	100.0%
სპეციალური ტრანსფერი		533.6	533.6	533.6	100.0%
სხვა სპეციალური ტრანსფერი		533.6	533.6	533.6	100.0%
სხვა შემოსავლები	14	43,008.0	10,431.7	10,840.3	103.9%
შემოსავლები საკუთრებიდან	141	2,408.0	385.0	400.7	104.1%
პროცენტები	1411	500.0	250.0	273.9	109.5%
დივიდენდები	1412	838.0	0.0	0.0	-
რენტა	1415	1,070.0	135.0	126.9	94.0%
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	150.0	30.0	29.1	97.1%
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავენობა და სხვა) გადაცემიდან	14154	920.0	105.0	97.7	93.1%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	35,000.0	8,646.5	8,872.4	102.6%
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	35,000.0	8,646.5	8,871.2	102.6%
სანებართვო მოსაკრებელი	14223	400.0	95.0	91.0	95.8%
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	14229	0.0	0.0	0.6	-
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	142213	32,100.0	7,927.5	7,825.1	98.7%
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	142216	0.0	0.0	441.4	-
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	2,500.0	624.0	513.1	82.2%
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	0.0	0.0	1.2	-
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	14232	0.0	0.0	1.2	-
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	4,700.0	1,175.2	1,191.4	101.4%
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	900.0	225.0	375.8	167.0%
არაფინანსური აქტივების კლება	31	10,700.0	973.8	587.6	60.3%
არაწარმოებული აქტივები	314	10,700.0	973.8	587.6	60.3%
მიწა	3141	10,700.0	973.8	587.6	60.3%

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება

თარიღი (ხარჯი): 01/04/2019

ათასი ლარი

ორგანიზაციის კოდი	დასახელება	გეგმა წლის	გეგმა 3 თვე	ხარჯი	სხვაობა	შესრულება პროცენტით (%)	შესრულება წლის (%)
00	ჯამური						
00	ჯამური	168,637.5	37,832.3	30,569.8	7,262.5	81%	18%
2	ხარჯები	95,515.3	22,543.6	18,486.0	4,057.6	82%	19%
2.1	შრომის ანაზღაურება	22,154.6	5,582.0	5,198.2	383.8	93%	23%
2.2	საქონელი და მომსახურება	37,252.2	10,000.8	7,619.9	2,380.9	76%	20%
2.4	პროცენტი	5,315.0	99.6	89.9	9.7	90%	2%
2.5	სუბსიდიები	13,769.1	3,533.1	3,048.4	484.7	86%	22%
2.6	გრანტები	25.5	0.0	0.0	0.0	0%	0%
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	9,526.8	1,969.0	1,423.0	545.9	72%	15%
2.8	სხვა ხარჯები	7,472.1	1,359.1	1,106.6	252.5	81%	15%
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	58,169.1	15,246.1	12,041.3	3,204.8	79%	21%
32	ფინანსური აქტივების ზრდა	712.6	0.0	0.0	0.0	0%	0%
33	ვალდებულებების კლება	14,240.5	42.6	42.6	0.0	100%	0%
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება						
00	ჯამური	27,167.0	2,025.7	1,649.5	376.3	81%	6%
2	ხარჯები	12,786.5	1,978.1	1,603.3	374.8	81%	13%
2.1	შრომის ანაზღაურება	4,674.3	1,168.6	1,020.3	148.3	87%	22%
2.2	საქონელი და მომსახურება	2,284.5	542.1	463.4	78.7	85%	20%
2.4	პროცენტი	5,315.0	99.6	89.9	9.7	90%	2%
2.6	გრანტები	25.5	0.0	0.0	0.0	0%	0%
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	53.4	20.0	15.2	4.8	76%	28%
2.8	სხვა ხარჯები	433.8	147.8	14.6	133.3	10%	3%
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	140.0	5.0	3.6	1.4	72%	3%
33	ვალდებულებების კლება	14,240.5	42.6	42.6	0.0	100%	0%
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო						
00	ჯამური	1,650.0	410.4	355.7	54.7	87%	22%
2	ხარჯები	1,640.0	410.4	355.7	54.7	87%	22%
2.1	შრომის ანაზღაურება	1,050.0	262.5	251.2	11.3	96%	24%
2.2	საქონელი და მომსახურება	493.6	123.4	89.6	33.8	73%	18%
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	18.4	5.0	0.5	4.5	10%	3%
2.8	სხვა ხარჯები	78.0	19.5	14.4	5.1	74%	18%
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	10.0	0.0	0.0	0.0	0%	0%
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია						
00	ჯამური	5,485.7	1,343.8	1,158.7	185.1	86%	21%
2	ხარჯები	5,355.7	1,338.8	1,155.1	183.7	86%	22%
2.1	შრომის ანაზღაურება	3,624.3	906.1	769.1	137.0	85%	21%
2.2	საქონელი და მომსახურება	1,650.9	412.7	371.2	41.5	90%	22%
2.6	გრანტები	25.5	0.0	0.0	0.0	0%	0%
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	35.0	15.0	14.7	0.3	98%	42%
2.8	სხვა ხარჯები	20.0	5.0	0.1	4.9	2%	1%
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	130.0	5.0	3.6	1.4	72%	3%
01 03	სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა						
00	ჯამური	19,555.5	142.2	132.4	9.8	93%	1%
2	ხარჯები	5,315.0	99.6	89.9	9.7	90%	2%
2.4	პროცენტი	5,315.0	99.6	89.9	9.7	90%	2%
33	ვალდებულებების კლება	14,240.5	42.6	42.6	0.0	100%	0%
01 03 01	მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება						
00	ჯამური	167.1	49.2	49.1	0.1	100%	29%
2	ხარჯები	18.9	6.6	6.6	0.0	100%	35%
2.4	პროცენტი	18.9	6.6	6.6	0.0	100%	35%
33	ვალდებულებების კლება	148.2	42.6	42.6	0.0	100%	29%
01 03 02	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურება						
00	ჯამური	19,195.4	0.0	0.0	0.0	0%	0%
2	ხარჯები	5,103.1	0.0	0.0	0.0	0%	0%

2.4	პროცენტი	5,103.1	0.0	0.0	0.0	0%	0%
33	ვალდებულებების კლება	14,092.3	0.0	0.0	0.0	0%	0%
01 03 03	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურება						
00	ჯამური	193.0	93.0	83.3	9.7	90%	43%
2	ხარჯები	193.0	93.0	83.3	9.7	90%	43%
2.4	პროცენტი	193.0	93.0	83.3	9.7	90%	43%
01 04	სარეზერვო ფონდი						
00	ჯამური	285.8	73.3	0.0	0.0	0%	0%
2	ხარჯები	285.8	73.3	0.0	0.0	0%	0%
2.8	სხვა ხარჯები	285.8	73.3	0.0	0.0	0%	0%
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი						
00	ჯამური	50.0	50.0	0.0	50.0	0%	0%
2	ხარჯები	50.0	50.0	0.0	50.0	0%	0%
2.8	სხვა ხარჯები	50.0	50.0	0.0	50.0	0%	0%
01 06	წვევამდელთა ტრანსპორტირება						
00	ჯამური	25.0	6.0	2.6	3.4	43%	10%
2	ხარჯები	25.0	6.0	2.6	3.4	43%	10%
2.2	საქონელი და მომსახურება	25.0	6.0	2.6	3.4	43%	10%
01 07	საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება						
00	ჯამური	55.0	0.0	0.0	0.0	0%	0%
2	ხარჯები	55.0	0.0	0.0	0.0	0%	0%
2.2	საქონელი და მომსახურება	55.0	0.0	0.0	0.0	0%	0%
01 08	მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება						
00	ჯამური	60.0	0.0	0.0	0.0	0%	0%
2	ხარჯები	60.0	0.0	0.0	0.0	0%	0%
2.2	საქონელი და მომსახურება	60.0	0.0	0.0	0.0	0%	0%
02 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება						
00	ჯამური	73,931.8	19,640.9	16,670.4	2,970.5	85%	23%
2	ხარჯები	23,971.0	5,727.3	5,439.5	287.8	95%	23%
2.1	შრომის ანაზღაურება	1,828.2	457.1	411.6	45.5	90%	23%
2.2	საქონელი და მომსახურება	9,359.3	2,716.4	2,519.2	197.2	93%	27%
2.5	სუბსიდიები	7,396.0	1,661.5	1,661.5	0.0	100%	22%
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	15.0	12.0	9.1	2.9	76%	61%
2.8	სხვა ხარჯები	5,372.5	880.3	838.0	42.2	95%	16%
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	49,828.2	13,913.6	11,230.9	2,682.7	81%	23%
32	ფინანსური აქტივების ზრდა	132.6	0.0	0.0	0.0	0%	0%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება						
00	ჯამური	42,617.2	9,309.7	7,289.7	2,020.0	78%	17%
2	ხარჯები	6,066.7	1,790.6	1,661.4	129.2	93%	27%
2.2	საქონელი და მომსახურება	6,066.7	1,790.6	1,661.4	129.2	93%	27%
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	36,550.5	7,519.1	5,628.3	1,890.8	75%	15%
02 01 01	გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა						
00	ჯამური	292.4	63.6	50.3	13.3	79%	17%
2	ხარჯები	292.4	63.6	50.3	13.3	79%	17%
2.2	საქონელი და მომსახურება	292.4	63.6	50.3	13.3	79%	17%
02 01 02	საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა						
00	ჯამური	10,797.8	2,811.6	1,219.2	1,592.4	43%	11%
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,797.8	2,811.6	1,219.2	1,592.4	43%	11%
02 01 03	გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა						
00	ჯამური	2,799.3	846.1	810.8	35.3	96%	29%
2	ხარჯები	2,784.3	842.1	809.0	33.1	96%	29%
2.2	საქონელი და მომსახურება	2,784.3	842.1	809.0	33.1	96%	29%
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	15.0	4.0	1.8	2.2	45%	12%
02 01 04	გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა						
00	ჯამური	1,749.2	574.9	569.0	5.9	99%	33%
2	ხარჯები	1,749.2	574.9	569.0	5.9	99%	33%

2.2	საქონელი და მომსახურება	1,749.2	574.9	569.0	5.9	99%	33%
02 01 05	საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა						
00	ჯამური	25,287.0	4,703.5	4,407.3	296.2	94%	17%
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	25,287.0	4,703.5	4,407.3	296.2	94%	17%
02 01 06	გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა						
00	ჯამური	1,691.5	310.0	233.0	77.0	75%	14%
2	ხარჯები	1,240.8	310.0	233.0	77.0	75%	19%
2.2	საქონელი და მომსახურება	1,240.8	310.0	233.0	77.0	75%	19%
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	450.7	0.0	0.0	0.0	0%	0%
02 02	სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება						
00	ჯამური	7,858.1	2,873.6	2,856.1	17.5	99%	36%
2	ხარჯები	6,646.0	1,661.5	1,661.5	0.0	100%	25%
2.5	სუბსიდიები	6,646.0	1,661.5	1,661.5	0.0	100%	25%
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,212.1	1,212.1	1,194.7	17.4	99%	99%
02 02 01	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვა						
00	ჯამური	1,212.1	1,212.1	1,194.7	17.4	99%	99%
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,212.1	1,212.1	1,194.7	17.4	99%	99%
02 02 02	მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება						
00	ჯამური	6,646.0	1,661.5	1,661.5	0.0	100%	25%
2	ხარჯები	6,646.0	1,661.5	1,661.5	0.0	100%	25%
2.5	სუბსიდიები	6,646.0	1,661.5	1,661.5	0.0	100%	25%
02 03	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება						
00	ჯამური	12,557.1	4,863.3	4,211.5	651.8	87%	34%
2	ხარჯები	2,646.8	453.2	448.5	4.7	99%	17%
2.2	საქონელი და მომსახურება	1,896.8	453.2	448.5	4.7	99%	24%
2.5	სუბსიდიები	750.0	0.0	0.0	0.0	0%	0%
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	9,777.7	4,410.1	3,763.0	647.1	85%	38%
32	ფინანსური აქტივების ზრდა	132.6	0.0	0.0	0.0	0%	0%
02 03 01	სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა						
00	ჯამური	98.8	45.0	40.3	4.7	90%	41%
2	ხარჯები	45.0	45.0	40.3	4.7	90%	90%
2.2	საქონელი და მომსახურება	45.0	45.0	40.3	4.7	90%	90%
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	53.8	0.0	0.0	0.0	0%	0%
02 03 02	წყლის სისტემების რეაბილიტაცია						
00	ჯამური	132.6	0.0	0.0	0.0	0%	0%
32	ფინანსური აქტივების ზრდა	132.6	0.0	0.0	0.0	0%	0%
02 03 04	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება						
00	ჯამური	8,283.6	3,495.6	2,960.3	535.3	85%	36%
